PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე
წევრი: ალექსანდრე კეკენაძე

თბილისი, 2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15/06/2020 N470445 ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 29 ივნისს , ქ.ფოთში, სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ განხორციელდა ვიზიტი , პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საგანმანათლებლო პროგრამმის დამატების და მასში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, ავტორიზაციის დებულების 31–ე მუხლის, მე–2 ე–პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით, საბაზო განათლების მქონე პირებისთვის, შესაძლებელი ხდება პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით (საქართველოს კანონო პროფესიული განათლების შესახებ: მუხლი 7.მუხლი 9. მუხლი 16. მუხლი 22.; ბრძანება 170/ნ, 2019 წ. 19. აგვისტო. ქ. თბილისი- საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ).

ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და შეიმუშავა დღის წესრიგი.

ქ.ფოთში, სამუშაო ვიზიტის დაწყებამდე, კოლეჯის ადმინისტრაციასთან გაცნობისა და გასაუბრების დროს, განხილულ იქნა მომზადებული დღის წესრიგი. დაწესებულებაში წარდგენილი დღის წესრიგის თანახმად ერთ ერთი აქტივობა იყო პარტნიორ ორგანიზაციებში ვიზიტი და ინსტრუქტორებთან გასაუბრება, თუმცა გამომდინარე იქედან რომ დაწესებულება გეგმავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების კოლეჯში მიღწევას და ამ მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულება არ საჭიროებს პარტნიორ ორგანიზაციას, ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე არ განხორციელებულა.

დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელები) გასაუბრება; პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა და ინტერვიუ პასუხისმგებელ პირებთან; საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემოწმება; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება და გასაუბრება ბიბლიოთეკართან; ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტისას გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

1. ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს გააზრებული აქვთ ინტეგრირებული სწავლების მიზნები, საგნის სწავლების და შეფასების მეთოდები და გამოთქვამენ მზაობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებმა ამ ეტაპზე ჯერ არ იციან მოდულური სწავლების სპეციფიკა. კერძოდ, მოდულის ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები. სასურველია ამ მიმართულებითაც ჩაუტარდეთ ტრენინგი - **ინტეგრირებული მოდულებისათვის შერჩეულმა პედაგოგებმა უკვე გაიარა ტრენინგების სრული ციკლი, რომელიც მოეწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით. დაწესებულების დირექციასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელ პედაგოგთან გასაუბრებით დასტურდება რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე, კიდე ერთხელ(, მოხდება შეხვედრები ინტეგრირებული მოდულების პედაგოგებთან და ჩაუტარდებათ შესაბამისი (გაცნობითი სახის) ტრენინგები, რის საფუძველზეც ისინი გაეცნობიან მოდულური სწვლების სპეციფიკას, მათ შორის შეფასების სისტემას, პსდ-ში დანერგილის სასწავლო პროცესების განხორცელების წესების შესაბამისად..**

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში/Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems.
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N01/34, 27.05.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, ქ.ფოთი, კონსტიტუციის ქ. N54
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.*** როგორც მოგეხსენებათ თანამედროვე ეპოქაში დიდია და მზარდი მოთხოვნა კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე. პრაქტიკულად მსოფლიოში არ არსებობს სფერო, სადაც არ არის მოთხოვნა ამ მიმართულებით. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია ქ.ფოთში და მის შემოგარენშიც აქტუალურია მოთხოვნა IT ტექნოლოგიის კვალიფიკაციის მქონე კადრებზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები ”**, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე გახლავთ თვითდასაქმებადი სპეციალობაც - ბოლო წლების განმავლობაში დაგროვდა მაგალითები იმისა, რომ ამ სფეროს მსგავსი პროფილის ***(ინფორმაციის ტექნოლოგიები)*** კურსდამთავრებულებმა გახსნეს სერვის-სახელოსნო და საქმიანობენ აღნიშნული მიმართულებით.

კოლეჯის მიერ, შესწავლილი იქნა მსგავსი პროფილით პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვისა და დასაქმების სტატისტიკური მონაცემები, საიდანაც ასევე ნათლად ჩანს მოთხოვნა პროფესიაზე მაგალითად 2016 წლიდან დღემდე მონაცემების თანახმად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

მსგავსი პროფილი (დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამას ინფორმაციის ტექნოლოგია), კურსდამთავრებულთა თითქმის 51 % დასაქმებულია.

ამასთან, კოლეჯმა 2016-19 წლებში განახორციელა გაეროს განვითარების პროგრამის პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსი - „ინფორმაციის ტექნოლოგიები“.

ამასთანავე, აღნიშნული მიმართულებით კოლეჯში, *2019 წელს,* პროექტის - **„სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის“** ფარგლებში, ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის შემუშავებული და განხორციელებული იქნა საორიენტაციო კურსი „ინფორმაციის ტექნოლოგია” - კურსი გაიარა 60 მდე მოსწავლემ.

სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მიერ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძვნება კოლეჯის მისიას და სტარტეგიულ გეგმას, რომლის თანახმად კოლეჯი პრიორიტეტად ისახავს დანერგოს და განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის პროგრამები, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ტურიზმის, ინჟინერიის, ბიზნეს ადმინისტრირების, აგრარული, მომსახურებისა და ლოგისტიკის მიმართულებით.

სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მისიაა წვლილი შეიტანოს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, შესაბამისი კვალიფიციური და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების თვალსაზრისით

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისად. კერძოდ:

არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმით სწავლებისას პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში დაიშვებიან საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირები, რომელთა წინარე ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას პროგრამის მიხედვით განსაზღვრავს განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართის, საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს, ბიბლიოთეკის ფონდის, მატერიალური რესურსების მიხედვით, რომელიც გამოიყენება კოლეჯის მიზნების რეალიზაციისთვის და შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. რაც შეეხება ინტეგრირებულ მოდულებს, ისინი განხორციელდება მოდულებში მითითებული შესაბამისი სასწავლო რესურსების შესაბამისად. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე:

ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ჯგუფში 20 პროფესიული სტუდენტი);

ბ) დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები”** B და C გარემოსთვის გათვალისწინებულია აქვს ერთი საერთო სივრცე პრაქტიკული სწავლებისათვის - 46 კვ.მ ფართი, რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია 20 პერსონალური კომპიუტერი ინდივიდუალური მუშაობისათვის (ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე, ორიჯგუფის შემთხვევაში სწავლა განხორციელდება ორ ცვალაში - თითოეულ ჯგუფში 20 პროფესიული სტუდენტი). ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებით B სასწავლო გარემო, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე. ორცვლაში ან ორი მიღების შემთხვევაში A, B და C სასწავლო გარემო ვალიდურია 40 პროფესიულ სტუდენტზე.

<u>პროგრამაზე კომპიუტერული ქსელი და სისტემები, სტუდენტთა რაოდენობა გათვლილია და შესაბამისობაშია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“.</u>

4. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, და დასტურდება რომ პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება.

5. <u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.</u>

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. პროფესიულ საგანმანათლებლო <u>პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი</u> შესაბამისი ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია იმ ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა, რაც ნიშნავს, რომ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. <u>პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში“.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, **კერძოდ პროგრამის შემუშავების საფუძვლებია: ჩარჩო დოკუმენტი - ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology 06112-პ; 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობ**ები“, პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. დაწესებულების მიერ წარმოგენილია საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტაციაა: მოდულები და სასწავლო გეგმა (არაინტეგრირებული და ინტეგრირებულ პროგრამისათვის სასწავლო გეგმა გაწერილი 3 წელზე), ადამიანური რესურსი, C გარემოს მოდელი–კომპიუტერული ქსელი და სისტემები, აღჭურვილობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, ბრძანება N01/111, 16.11.2017, ცვლილება ბრძანება N01/15, 26.02.2020 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი“;

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ძირითადი დოკუმენტები, მოდულები, სასწავლო გეგმა (როგორც ინტეგრირებული ასევე მოდულური მიდგომით განხორციელების შეთხვევაში) მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

4. ბრძანება N01/129, 21.12.2017, ცვლილება N01/16, 26.02.2020 - სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

5. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი, ბრძანება N01/34, 27.05.2020;

6. სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;

7. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით / ინტერვიურებით.

8.ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა იგეგმება A, B და C სასწავლო გარემოში. A გარემო - სადაც განთავსებულია მერხი და სკამი 20 პროფესიული სტუდენტისათვის. დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"** B და C გარემოსთვის გათვალისწინებულია აქვს ერთი საერთო სივრცე პრაქტიკული სწავლებისათვის - 46 კვ.მ ფართი, რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია 20 პერსონალური კომპიუტერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ინდივიდუალური მუშაობისათვის (ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე, ორიჯგუფის შემთხვევაში სწავლა განხორციელდება ორ ცვალაში-თითოეულ ჯგუფში 20 პროფესიული სტუდენტი). ასევე პროგრამის ფარგლებში, საჭიროები შემთხვევაში გამოიყენება დამატებით B სასწავლო გარემო, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე.
ორცვლაში ან ორი მიღების შემთხვევაში A, B და C სასწავლო გარემო ვალიდურია 40 პროფესიულ სტუდენტზე.

<u>ინტეგრირებული მოდულებისთვის გათვალისწინებულია 3 A და 3 C გარემო თეორიული სწავლებისთვის.</u>

1) A გარემო-1 - გეოგრაფია, მეწარმეობა და ბიოლოგიისთვის განკუთვნილია ერთი A გარემო, რომელიც აღჭურვილია თეორიული სწავლებისთვის საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობით, გათვლილია ინტეგრირებული პროგრამის სწავლებისთვის.
2) A გარემო-2 –მეცნიერება და ტექნოლოგიების მოდულის ფიზიკური მოვლენების მიმართულებისთვის დაგეგმილია ელექტრიკოსის კაბინეტის გამოყენება, რომელიც აღჭურვილია მიმართულებისთვის საჭირო მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და მოხდება მისი ინტეგრირებული პროგრამისთვის გამოყენება სხვა მოდულებთან ერთად წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით.
3) A გარემო-3 - პრაგრამით გათვალისწინებული მოდულებისთვის - მოქალაქეობა და კომუნიკაცია ქართულ ენაზე განკუთვნილია ცალკე A გარემო, აღნიშნული A გარემო აღჭურვილია მოქალაქეობა და კომუნიკაცია ქართულ ენაზე - მოდულებისთვის საჭირო მატერიალური ინვენტარით და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

ინტეგრირებული მოდულების პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია შემდეგი 3 C გარემო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

მეცნიერება და ტექნოლოგიებს მოდული შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სტანდარტებთან. შესაბამისად დაწესებულებას აქვს გამოყოფილი ე.წ. სასწავლო ლაბორატორიები (C სასწავლო გარემო) ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის მოდულ(ებ)ის განხორციელებისათვის. თითოეული მათგანი აღჭურვილია მოდულების შესაბამისი მატერიალური ინვენტარით და მოდულის პროცესების მიმართულებისათვის საჭირო აღჭურვილობით. რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ და ასევე მოხდა ვიზუალური დათვალიერებაც.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოებები (A,B,C) გათვალისწინებულია ერთ ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე და დაკომპლექტებულია შესაბამისი აღჭურვილობით. ექსპერტემბმა მოხდინეს ვიზუალური დათვალიერება და ნახეს მიღება ჩაბარების დოკუმენტებიც.

სასწავლო გარემო, როგორც ინტეგრირებული ასევე არაინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში, აჭურვილია მასწავლებლის სამუშაო კუთხით (მაგიდით და სკამით), პროექტორით და ქსელში ჩართული კომპიუტერით.

<u>**პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**</u>

2.„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 4 (ოთხი) პროფესიული განათლების მასწავლებელი, ამათგან ორი მათგანი არის ინგლისური ენის როგორც ზოგადი მოდულის ასევე დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პედაგოგი, ხოლო დარგობრივი პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 3 (სამი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას ჰყავს 14 (თოთხმეტი) კონკურსის წესით შერჩეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free
ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელი (ინტეგრირებული მოდულებისათვის კონკურსის წესით შერჩეულია რამდენიმე მოდულზე ორი განმახორციელებელი პედაგოგი). პროგრამას დანართის სახით თან ახლავს დოკუმენტი პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:

„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ასევე, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული და ზოგადი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, გავლილი აქვთ არაერთი ტრენინგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლების და შეფასების მიმართულებით, შესაბამისად მათ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების მრავალწლიანი გამოცდილება. საშტატო პერსონალის - მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშების ფორმის მიხედვით, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული სამუშაოები არ აღემატება კვირაში 40 საათს.

<u>რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების</u> განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესის თანხმად გამოცხადდა კონკურსი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებზე, იმავე წესის თანხმად გაიწერა შერჩევის კრიტერიუმები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. 2019 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის მიხედვით, შეირჩა სულ 14 მასწავლებელი, რომლებთანაც გაფორმდა წინარე შრომითი ხელშეკრულებები. შერჩეულმა პედაგოგებმა უკვე გაიარა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ტრენინგების სრული ციკლი, რომელიც მოეწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით. ამრიგად პროგრამისთვის განსაზღვრული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელთან და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ რამდენიმე პედაგოგთან , ჩატარდა ინტერვიუ, რომლის შედეგად გაირკვა, რომ: შერჩეულ პედაგოგებს, გააზრებული აქვთ ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიდგომები, არიან კვალიფიციური მასწავლებლები, აქვთ სწავლის მრავალწლიანი გამოცდილება, იციან სწავლების და შეფასების მეთოდები. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა რომ ისინი უკვე იცნობენ პროფესიულ განათლებას თუმცა დაწესებულების მხრიდან სწავლის დაწყებამდე კიდე ერთხელ მოხდება სატრენინგო/საინფორმაცია ტიპის შეხვედრები და გაეცნობიან მოდულური სწავლების სპეციფიკას, მათ შორის შეფასების სისტემას, პსდ-ში დანერგილის სასწავლო პროცესების განხორცელების წესების შესაბამისად.

<u>პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; რაც დასტურდება ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას.</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, რომ მას აქვს მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პროგრამით სწავლების გამოცდილება, იცნობს მოდულის სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმებს და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაც არაა მისთვის უცხო.

<u>საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (როგორც მოდულური ასევე ინტეგრირებული მიდგომით პროგრამის განხორციელებისათვის), ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს კომპეტენტური და მოტივირებული ადამიანი. აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა განახორციელა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის ლიტერატურის შესყიდვა, რაც ვიზიტისას დადასტურდა დათვალიერებით.

კოლეჯში ინახება წიგნადი ფონდის აღრიცხვის საინვენტარო წიგნი, წიგნადი ფონდი დამუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერები და ინტერნეტი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. ასევე არის ელექტრონული ბიბლიოთეკა - Open Biblio. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები.

<u>საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. მათი გამოყენება შესაძლებელია სასწავლო პროცესში.</u>

7. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს გაწერილი მექანიზმები ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სსსმ / შშმ პირებისთვის. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, თითოეული სსსმ და შშმ პირისათვის იქმნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს კოლეჯის დირექტორს. სამუშაო ჯგუფში ერთიანდებიან ის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ არიან საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები. აგრეთვე შესაძლებელია მშობელის/მშობლების, კოლეჯის ადმინისტრაციის წევრის/წევრების, ფსიქოლოგის (მოწვეული) ჩართულობა. კოლეჯის შენობა ადაპტირებულია: პირველი და მესამე სართულის სველი წერტილები ადაპტირებულია, არის პანდუსები, მოქმედი ლიფტი და შესაბამისად სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯს ყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი.

<u>ექსპერტების მიერ დოკუმენტის შესწავლისას გაცემული რეკომენდაციით დაემატა ერთი პუნქტი (პუნქტი 8), რის თანახმადაც დაწესებულება განახორციელბს საგანმანათლებლო რესურსის ადამპირებას შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებიდან გამომდინარე.</u>

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ წარმოადგინა <u>პროგრამისთვის შედგენილი ბიუჯეტი.</u> ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

1. განაცხადის დანართი 4 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
2. განაცხადის დანართი 3 - ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
3. პედაგოგების პირადი საქმეები;
4. სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 2019 წლის 3 აპრილის N01/33 ბრძანება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ, ცვლილება N01/39, 28.05.2020;

5. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი, დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის ბრძანება N01/111, 16.11.2017, ცვლილება N01/15, 26.02.2020 - „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;

6. განაცხადის დანართი 5 - პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმას.

7. კოლეჯის ადმინსტრაციის წარმომადგენლებთან და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან (პედაგოგებთან) ინტერვიუირება;

8.ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო პრაქტიკას. სსიპ კოლეჯ „ფაზისს“ შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, რომლის თანახმადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისთვის კოლეჯში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

ა) კოლეჯის მიერ თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში” წარდგენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ბ) კოლეჯში რეალიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავება და მათ შესაბამისად ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ წარმართულ სასწავლო პროცესსა და სამუშაო ჯგუფებში/პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება;

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირების, დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) კითხვარების შემუშავება და გამოკითხვის ორგანიზება ყოველწლიურად.

<u>პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯი ყოველთვის იღებს უკუკავშირს პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული მასწავლებლებისგან და პარტნიორი ორგანიზაციებიდან კმაყოფილების კვლევის საფუძველზე. ასევე, კოლეჯი ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ახორციელებს კვლევას დასაქმებულთა შესახებ.</u>

2.ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სსიპ კოლეჯი „ფაზისი“გაანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც განიხილავს როგორც პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებებს, ასევე პროფესიული მასწავლებლების მოსაზრებებს პროგრამის/მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით და ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანება N01/111, 16.11.2017, ცვლილება N01/15, 26.02.2020 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამატების წესი“;

2. დაწესებულების მიერ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;

3. ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

5. ბსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან / სასწავლო საწარმოსთან / თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო / სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შედგენილია ორი სასწავლო გეგმა, რადგან ხორციელდება პროგრამის ორი მოდულური და ინტეგრირებული მიდგომით. შესაბამისად შედგენილია ორი სასწავლო გეგმა. არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში წარმოდგენილი სასწავლო გეგმა არის 62 კვირეული დატვირთვით რაც ნიშნავს რომ ერთ წელსა და რამდნიმე თვეზეა გათვლილი პროგრამა, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა არის 120 სასწავლო კვირით წარმოდგენილი რაც სამ წლიანი სწავლების პერიოდს გულისხმობს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, როგორც ინტეგრირებული ასევე არაინტეგრირებული, უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა.

<u>**პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.**</u>

2. სსიპ კოლეჯი „ფაზისი“ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ამისთვის კოლეჯში არსებობს წინადადებების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

მოსაზრებების ყუთი, ასევე პერიოდულად ხდება მათი გამოკითხვა, რომელთა ანალიზის საფუძველზე ხდება შემდგომი პროცესების დაგეგმვა.

<u>პსდ ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.</u>

3. <u>სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.</u> პსდ - ში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ რამდენიმე პედაგოგს, მათთან საუბრისას დაზუსტდა რომ პედაგოგები კარგად იცნობდნენ პროგრამას, მოდულებს და ზოგადად IT მიმართულებით ჰქონდათ მრავალწლიანი სწავლების გამოცდილება, რაც ცალსახად გულისხმობს სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებას, თანამედროვე ტექნოლოგიებთან ერთად.

4. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს, რომელიც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების ცვლილებას, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ფოკუსირებულია შედეგზე. სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 2019 წლის 3 აპრილის N01/33 ბრძანებით (ცვლილება N01/17, 26.02.2020;) დამტკიცებულია წესი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

5. <u>ეს პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს ახორციელებს დაწესებულების ბაზაზე.</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯში ყველა პროგრამისთვის სწავლება მიმდინარეობს შესაბამის უსაფრთხო სასწავლო გარემოში. კოლეჯს ჰყავს სერტიფიცირებული უსაფრთხოების მენეჯერი. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო და კრიზისული სიტუაციების გეგმები, სადაც მითითებულია იმ პასუხისმგებელ პირთა ტელეფონის ნომრები, რომლებიც უნდა იქნან გამოძახებულნი კრიზისული სიტუაციების დროს. მოწყობილია სახანძრო დაფა და მონიშნულია ევაკუაციის მიმართულებები. დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ბალონები. აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების ინვენტარით. კოლეჯი ხარისხის მენეჯმენტის სისტემას ახორციელებს ISO 9001-2015-ის მიხედვით, ამ შემთხვევაში SOP-001-შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება. ISO 9001-2015-ის ფარგლებში შეიქმნა კოლეჯის უსაფრთხოების პოლიტიკა.

რაც შეეხება, სწავლების პროცესში უსაფრთხო / სამუშაო გარემოს, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეძენილია ანტისტატიკური სამაჯური, ანტისტატიკუი ხალიჩა და დამცავი სათვალე. სწავლების პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელს. პროფესიული მოდულების მასწავლებლები პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში, საჭიროებიდან გამომდინარე, ჩაატარებენ ინსტრუქტაჟს, რაც ამ ეტაპზე ვერ დასტურდებოდა შესაბამისი მტკიცებულებით.

<u>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

1. საგანმანათლებლო პროგრამა: საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმები მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით); პროგრამის დანართი 3 - სასწავლო გეგმა ინტეგრირებული პროგრამისთვის;

2. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა (დათვალიერება ადგილზე / შრომის ინსპექციის ვიზიტის შედეგები და სხვა): - ISO 9001_2015-ის მიხედვით, ამ შემთხვევაში SOP -001-შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება;

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი სსსმ და შშმ პირებისთვის

4. სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის 2019 წლის 3 აპრილის N01/33 ბრძანება (ცვლილება N01/17, 26.02.2020;) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;

5. ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმადაც შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას.

<u>სტუდენტთა შფასება ხდება მოდულების სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.</u>

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. კოლეჯს შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესში. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შემდეგ, ვალიდაციას აკეთებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შედიან კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი. ვერიფიკაციის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელიც ახდენს ვერიფიკაციის პროცესის კორდინაციას და პასუხისმგებელია ვერიფიკაციის როგორც პროცესზე ასევე შედეგზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

პსდ შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. წინა ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული შემდეგი რეკომენდაცია: სწავლის შედეგების შეფასების წესში, შესაცვლელია მტკიცებულებების შენახვის ვადა, რომელიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე და არა 3 წლით. მიმდინარე ვიზიტისას, ექსპერტებმა შემოწმების შედეგად დავადგინეთ, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით. თუმცა, ამავე წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში ჩარჩენილია შემდეგი სახის ჩანაწერი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები დაცულია და ინახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული უზუსტობის გასწორებასთან დაკავშირებით, რაც კოლეჯმა შეასრულა კიდეც ვიზიტის პერიოდში.

პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4.ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მათი შემდგომი განვითარებისათვის. პროგრამის დასრულების შემდეგ კოლეჯი ყოველთვის იღებს უკუკავშირს პროფესიული სტუდენტებისგან, პროფესიული მასწავლებლებისგან და პარტნიორი ორგანიზაციებიდან კმაყოფილების კვლევის საფუძველზე. ასევე, კოლეჯი ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას და ახორციელებს კვლევას დასაქმებულთა შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი;

2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, ბრძანება N01/111, 16.11.2017, ცვლილება N01/15, 26.02.2020 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესი“;

3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრების წესი;

4.ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1 - ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2 - სწავლის შედეგების შეფასების წესი - ვერიფიკაციის მექანიზმი;

დანართი 3 - სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის მიერ N ***01/39 28/05/2020*** დამტკიცებული ბრძანება – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის პროფესიული საგანმანათებლო პროგრამების, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანარეგვისა და განხორციელების პროცესის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;

დანართი 4 - სასწავლო გეგმა (ინტეგრირებული; არაინტეგრირებული);

დანართი 5 - სსიპ კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორის მიერ ***N 01/34 27/05/2020*** დამტკიცებული ბრძანება - „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური; ინტეგრირებული)“ დამტკიცების შესახებ.

დანართი 6 - აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების დოკუმენტები

17/07/.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------